საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის

# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000036005046317

0900 ქ. ახმეტა რუსთაველის ქ N48 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 5

06 / მარტი / 2017 წ.

## განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ახმეტაში, ჭავჭავაძის ქ. N15-ში მდებარე შენობის პირველი და მეორე სართულის მარჯვენა ფლიგელის უსასყიდლო უზუფრუქტით, ხუთი წლის ვადით ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის სამავშვო ბაღების ცენტრისათვის" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ახმეტაში, ჭავჭავაძის ქ. N15-ში მდებარე შენობის პირველი და მეორე სართულის მარჯვენა ფლიგელის (საკადასტრო კოდი - 50.04.49.001) ხუთი წლის ვადით ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის სამავშვო ბაღების ცენტრისათვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

თამაზი წითელაური